

მდინარეების დაბინძურება და წყალდიდობის პრობლემები ურბანულ ადგილებში

ზურაბ ჯიქია

ელ-ფოსტა: zurab.jikia@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

ურბანული დასახლებები მნიშვნელოვანი წინაშე დგანან როდესაც საქმე ეხება მდინარეების დაბინძურებას და წყალდიდობას ეხება. მდინარეების ერთ-ერთი მთავარი დაბინძურების წყაროებია, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები, სასოფლო-სამეურნეო ჩამონადენი და საყოფაცხოვრებო ნარჩენები. ისინი ხშირად მავნე ქიმიკატებით და მძიმე მეტალებით არიან დაბინძურებულნი, ასევე საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ბიოლოგიური დაბინძურების ძირითადი წყაროა. სასოფლო-სამეურნეო წყლები კი სასუქების და პესტიციდების ძირითადი წყაროა. რაც შეეხება საყოფაცხოვრებო ნარჩენებს მათი არასათანადო მართვა იწვევს დიდი ზომის მყარი დამაბინძურებლების მობილიზაციას, ძირითადად წყლის ზედაპირზე.

ურბანული მდინარეებს ასევე გააჩნიათ დატბორვისკენ მიდრეკილება, მათ გასწვრივ არა ადეკვატური სანაპიროების გამო. ურბანიზაცია ხშირად შლის მდინარის ბუნებრივ ნაპირებს რამაც ძლიერი ნალექის ან და წყალმოვარდნის დროს შეიძლება გამოიწვიოს ნაპირების გარღვევა და მიმდებარე ტერიტორიების დატბორვა.

ამ პრობლემების მოსაწესრიგებლად საჭიროა, მრავალხრივი მიდგომა. აუცილებელია კომპანიებმა და მუნიციპალიტეტებმა შეიმუშაონ მკაცრი რეგულაციები ჩამდინარე წყლების კონტროლისა და ადეკვატური გაწმენდისათვის, ასევე ნარჩენების მართვის სწორი სტრატეგია ხელს შეუწყობს მდინარეებში დამაბინძურებლების შემცირებას. მათ უნდა შეიმუშაონ შეგროვების, განთავსების და სწორი დამუშავების სტრატეგიები, რათა აიცილონ მათი უკანონო გადაყრა.

გარდა ამისა, სანაპიროების დაცვა და ბუნებრივი მდგომარეობის აღდგენა მნიშვნელოვანია წყალდიდობის რისკის შესამცირებლად. ურბანული დაგეგმარებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მდინარე ნაპირების შენარჩუნებას და გამაგრებას, იმის გათვალისწინებით რომ ისინი ადეკვატურად არის დაპროექტებული და კარგად არიან მოვლილი, რათა გაუძლონ წყალდიდობისას მოვარდნილ წყლის მაღალ დონეს. მდინარეების სანაპიროს გასწვრივ ქალების არსებობას გარდა რეკრეაციული ფუნქციისა შეუძლია შექმნას ბუნებრივი დამაყოვნებელი ზონები და შეამციროს წყალდიდობის გავლენა ქალაქზე.